განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა სამაგისტრო პროგრამა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 25.11 – 26.11.21

დასკვნის წარდგენის თარიღი 25.12.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, დონე 7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი MA in Diplomacy and International Politics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	#264, 26.07.2012

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი გორგილაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სალომე ალანია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, პროექტების მენეჯერი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვინიაშვილი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა დაარსდა. საერთაშორისო ურთიერთობების კვლევა და სწავლება დაიწყო 1991 წელს. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობდა სასწავლო პროგრამების დახვეწასა და მათ დაახლოებასთან დასავლური, ძირითადად კი ბრიტანული და ამერიკული უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამების ხარისხსა და სტანდარტებთან. ეს პროცესი კი მეტწილად დამოკიდებული იყო არსებული აკადემიური პერსონალის გადამზადებასა და ახალგაზრდა, დასავლეთში განათლებამიღებული სპეციალისტების მოზიდვასთან, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქვეყანაში არ არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისა და სწავლების გამოცდილება. უშუალოდ სამაგისტრო პროგრამა დისციპლინის ფარგლებში პირველად შემუშავდა 1999 წელს. თუმცა, წლების განმავლობაში ახალი ტენდენციების, ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სახელმწიფოს საჭიროებებიდან გამომდინარე, მოხდა მისი მოდიფიკაცია და აკრედიტებულ იქნა 2011 წელს.

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინტერნაციონალიზაციის კომპონენტში.

გარდა სტუდენტთა სემესტრული მობილობისა, რომლის ფარგლებში ყოველ სემესტრში მაგისტრანტები ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში მიემგზავრებიან სასწავლებლად, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისიტრაციული პერსონალი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში. პროგრამის შეფასების, დიზაინის განახლებისა და ლიტერატურის შერჩევის, ისევე, როგორც კვლევითი კომპონენტის დახვეწის პროცესში მუდმივად არიან ჩართული როგორც ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები (დუბლინის უნივერსიტეტი, დუბლინის თრინითი კოლეჯი, ოლსტერის უნივერსიტეტი, ინსბრუკის უნივერსიტეტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტი და სხვა), ისე ამერიკის შეერთებული შტატებში მოღვაწე უმაღლესი კვალიფიკაციის მკვლევრები და პროფესორები. პროგრამა გასული 5 წლის განმავლობაში ჩართული იყო „ერასმუს +"-ის CBHE პროგრამაში, რომლის ფარგლებში ასევე, პროგრამა ჩართული იყო ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ევროპეიზაციის მიმართულებით განახლდა სასწავლო კურსები, მოწვეულმა პროფესორებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებიდან სტუდენტებს წაუკითხეს ლექციები და გაუწიეს კონსულტაციები სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში. ითარგმნა ორი ათას გვერდზე მეტი ლიტერატურა მშვიდობის კვლევების, ებოპეიზაციისა და საგარეო პოლიტიკის ანალიზის მიმარტულებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის აქტიური ჩართულობის შედეგად სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში, შესაძლებელი გახდა სტუდენტებისთვის მოლოდოვას, უკრაინის, პოლონეთის, ჩეხეთის, არგენტინის, სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტებიდან პროფესორების მოწვევა და მოკლე სალექციო კურსების ორგანიზება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 2 21 0001214745, 11/11/2021) საფუძველზე, მიმდინარე წლის 25 და 26 ნოემბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.
ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დისტან-ციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმა-ნათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად; ვიზიტამდე ჯგუფის წევრებმა დამატებით განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - <u>სტანდარტი 1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგ-რამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთ-ხოვნებთან.

  - <u>სტანდარტი 2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფა-სების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაში</u> მოთხოვნებთან.

- <u>სტანდარტი 3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან.
- <u>სტანდარტი 4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაში</u> მოთხოვნებთან.
- <u>სტანდარტი 5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც <u>შესაბამისობაშია</u> მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით და კრედიტიების მინიჭება;
  - უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად, სტაჟირების/პრაქტიკის შესაძლებლბოის გაზრდის მიზნით;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგროც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია.
  - დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული და ვერბალური უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;
  - ისეთ უნარების გაძლიერება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და ვერბალური უნარები;
  - დამსაქმებლების და კარიერული ცენტრის ინტენსიური თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ ონრგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის და საინფორმაციო შეხვედრების ორაგნაიზება;
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერ-სიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას მოახდინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიეორბებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია თანამედროვე პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოამზადოს სპეციალისტები დიპლომატიას და საერთაშორისო პოლიტიკაში. რათა მათ შეძლონ კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული თეორიული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მაგისტრატურის საფეხურზე მიღებული ცოდნა იქნება მყარი საფუძველი შემდგომ საფეხურზე სწავლისთვის, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტი მოამზადოს საერთაშორისო პროფესიულ წრეებში ღირსეული და პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით ინტეგრაციისთვის. პროგრამის მიზანია სტუდენტს გაუღრმავოს პასუხისმგებლიანი მოქალაქისთვის, თავისუფლებისმოყვარე, პატრიოტი და დემოკრატიული პრინციპების ერთგული პიროვნებისთვის საჭირო ღირებულებები. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას, პროგრამის მიზნები რეალისტურია და მორგებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან და იმ გამოწვევებთან, რასაც კურსდამთავრებულები ხვდებიან დასაქმების პროცესში. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული წერითი და ანალიტიკური კომპონენტები,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ უნივერსიტეტის მისია ▪ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024); ▪ პროგრამის თვითშეფასება; ▪ დამსაქმებელთა გამოკითხვის და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგროც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და თსუ-ს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან თანხვედრით.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, - თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები ითვალისწინებს არა მარტო ცოდნის ფლობას მეცნიერების კონკრეტულ სფეროში, არამედ ამ ცოდნის მისადაგებას პრაქტიკული ღონისძიებებისათვის.

ცოდნა გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულმა იცის:

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული მიმართულებები;
- დიპლომატიის ისტორიის მთავარი საკითხები;
- თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემები;
- დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებები;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და განხორციელების საშუალებები;

უნარი

პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- საერთაშორისო პოლიტიკის რთულ სიტუაციებში გარკვევა და სწორად ორიენტირება;
- საერთაშორისო მოვლენების ღრმა ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება;
- საგარეო პოლიტიკაში კომპეტენტური რჩევების მიცემა და კონსულტირება;
- დიპლომატიურ მოლაპარაკებაში და პოლემიკაში მონაწილეობის მიღება;
- საკუთარი მოსაზრებების ნათლად და მკაფიოდ გამოხატვა ქართულად და ინგლისურად;
- საკუთარი პოზიციის არგუმენტირება, კვალიფიციური ოპონირებას და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა;
- ვერბალური და წერითი კომუნიკაცია შესაბამის სფეროში; დაიცვას საკუთარი პოზიცია დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე, საჯარო დისკუსიებზე და წერილობით პოლემიკაში ეთიკისა და კამათის კულტურის სრული დაცვით;
- დამოუკიდებლად სწავლა და ათვისებული ცოდნის სხვისთვის გადაცემა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

კურსდამთავრებული აცნობიერებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ხელს უწყობს მათ დამკვიდრებასა და გავრცელებას შემდგომი საქმიანობის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათ-ლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქ-მების წესი და პროცედურები https://www.tsu.ge/ka/legalakad/15598 ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	x			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიან სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობა და სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილება. შემდეგ ეტაპზე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება და გასაურების გავლა შესაბამის დარგობრივ კომისიასთან. ამასთან, პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების პროცედურები არის მკაფიო და სამართლიანი. ინფორმაცია პროგ-მის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის - უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ▪ სასწავლო პროცესისის მარეგულიერებელი დოკუმენტები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ შედგენილია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ის სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს და შედგება ოთხი კომპონენტისგან - სავალდებულო კურსები - 35 ECTS, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS, არჩევითი კურსები - 45 ECTS, თავისუფალი კრედიტები - 10 ECT. სავალდებულო კურსები სტუდენტს აძლევს ან/და უმყარებს ცოდნას დისციპლინისთვის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, კვლევის მეთოდები, კვლევის დიზაინი, საჯარო საერთაშორისო სამართალი, გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები, დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა და საერთაშორისო მოლაპარაკებები. არჩევითი კურსების კომპონენტი ეხმარება სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი გამოწვევების, ისე ზოგადად დიპლომატიური პრაქტიკის, დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური თავისებურებების, საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული უსაფრთხოების, ეკონომიკური ურთიერთობების, კონფლიქტებისა და მშვიდობის შესახებ. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავისუფალი კრედიტების კომპონენტი გამოიყენოს უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი სამაგისტრო

პროგრამებიდან, ან/და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მისთვის შეთავაზებული საინტერესო კურსების გასავლელად, რაც ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათ-ლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქ-მების წესი და პროცედურები; https://www.tsu.ge/ka/legalakad/15598 ▪ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო

კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის სასწავლო კურსები და მათში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების კომპონენტები ორიენტირებულია მაგისტრის მომზადებაზე, რათა მან შეძლოს ერთი მხრივ დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტისთვის აუცილებელი თეორიეული ცოდნის მიღება, ხოლო მეორე მხრივ ჩამოუყალიბდეს ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები. შეძლოს აუდიტორიასთან ეფექტური და შედეგზე გათვლილი კომუნიკაცია, ცოდნის სწორად და დაბალანსებულად გადმოცემა როგორც ზეპირად, ისე წერილობით. პროგრამაში ჩართული თითოეული კურსი თავისი შინაარსით სრულად არის შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან. სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა და მისი მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს დარგის შიგნით არსებულ უახლეს მიღწევებს, ცოდნასა და ინფორმაციას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა და საათობრივი განაწილება შერჩეული და გათვლილია შესაბამისი კურსის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესაბამისად. პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სილაბუსების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ▪ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათ-ლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქ-მების წესი და პროცედურები ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი მასალებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ს(ს)იპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის საფუძველზე, სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარებით განვითარებას. კურსების დიდი უმრავლესობა ითვალისწინებს ინდივიდუალური და ჯგუფური ზეპირი პრეზენტაციების კომპონენტს, რაც სტუდენტს უვითარებს ვერბალური კომუნიკაციისა და აუდიტორიასთან მუშაობის უნარებს. კურსების ნაწილი კი ამავდროულად მოიცავს პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოლაპარაკებებსა და მედიაციაში, რაც სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს შემდგომი საქმიანობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამისათვის აუცილებელი პარქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სავალადებული კურსების სილაბუსებში. სილაბუსების გაცნობის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული კურსი ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პარქტიკაში გამოყენების უნარზე. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და თსუ-ს მიერ ორგანიზებულ ასევე ყოველწლიურ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. გარდა ამისა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ელექტრონულად გამოდის „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“, სადაც, მოცემული პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო სტატიები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის სტიპენდიის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენს სამეცნიერო აქტივობები (სტიპენდიის ჯამური ქულის 20% სწორედ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო სტატიების რაოდენობით გამოითვლება).

საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის პროცესში სრულად ასახულია ეთიკის ნორმები. მეოთხე სემესტრში გათვალისწინებულია კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსები, სადაც სტუდენტი აქტიურად იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას თურნითი სადაც ხდება ცალკეული დავალების, სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესეებისა და სამაგისტრო ნაშრომის ცალკეული ნაწილების ატვირთვა.პროგრამაში გასაძლიერებელია პრაქტიკული ნაწილის ინტეგრირება სასწავლო კომპონენტებში - სადაც მეტი აქცენტი

თეორიის პრაქტიკაში რეალიზებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე გაკეთდება. შრომის ბაზრის კვლევაზე დაყრდნობთი, დამსაქმებლების კმაყოფილება პროგრამის კურსდამთავრებულების საქმიანობით საშუალოზე მაღალია (3.7, 5 ქულიან სკალაზე) თუმცა გამოიკვეთა, რომ ყველაზე დიდი გამოწვევას პროგრამის კურსდამთავრებულების შემთხვევაში, პრაქტიკული უნარ-ჩვევები წარმოადგენს და მათ უმეტესობას სჭირდება სპეციალური კურსის გავლა ან მენტორის მეთვალყურეობით მუშაობა. დამსაქმებლებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ არგუმენტირებული მსჯელობის და ანგარიშიდან მთავრი მესიჯების გაგების და მათი განვრცობის უნარიც გამოწვევას წარმოადგენს. როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დასტურდება, სასურველია, სხვადასხვა კურსებში, რეალური მოვლენების ანალიზი განხორციელდეს და ეს კომპონენტი სილაბუსებში იყოს ინტეგრირებული. ამასთანვე, მეტი დრო დაეთმოს კრიტიკული ანალიზს და თეორიული ცოდნის აქტუალურ მოვლენებთან პარალელის გავლების მეტი შესაძლებლობა მიეცეთ სტუდენტებს.

დამსაქმებელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, შედარებით ძლიერი წერითი უნარები აქვთ, თუმცა გასაუმჯობესებელია მათი ვერბალური უნარები და უცხო ენის ცოდნა. ამასთანავე, მომიჯნავე დისციპლინებში ცოდნის გაძლიერების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ეკონომიკის კუთხით, დასახელდა, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი გასაუმჯობესებლად. ზემოთაღნიშნულიდან დასტურდება, დამსაქმებლის მოთხოვნების შეუსაბამობა, სამუშაოს შესრულების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან მიმართებაში. როგროც შრომის ბაზრის კვლევით, ისე ინტერვიუებით დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან დასტურდება პრაქტიკული უნარების და მეთოდების კურსებში ინტეგრირების აუცილებლობა. ასევე ისეთი ტრანსფერული უნარების გაძლიერება როგორიცაა: გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და უცხო ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

პროგრამის კონცეფციის მიხედვით, სტაჟირება არ წარმოადგენს სავალდებულო ან არჩევით კომპონენტს და არ აქვს მინიჭებული კრედიტი, ხოლო პროგრამის მხარდასაჭერი მემორანდუმები, ზოგად საუნივერსიტეტოა და უმეტესად ზოგადი ხასიათის მატარებელი. პრაქტიკაზე ნაკლები ორიენტაცია როგროც შრომის ბაზრის კვლევიდან ისე დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან იკვეთება რომ არის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მთავარი გამოწვევა. სტაჟირების კომპონენტის პროგრამაში გათვალისწინება მნიშნელოვანია, რადგან ერთის მხრივ ეხმარება სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში, ხოლო მეორეს მხრივ აცნობს მათ სამიზნე დამსაქმებელს.

შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ დამსაქმებლებს (67%) აქვთ საშუალოზე მაღალი მზაობა სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მიიღონ პროგრამის სტუდენტები/კურსდამთავრებული, რაც დადებითი ტენდენციაა. შესაბამისად, უსდ-ს, ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა ეს კომპონენტი გააძლიეროს და სტუდენტებს სტაჟირების და პოტენციური დასაქმების შესაძლებლობა მისცენ. მნიშვნელოვანია სტაჟირების გავლის შესაძლებლობის არეალის გაფართოება, როგროც არასამთავრობო ისე საერთაშორის ორგანიზაციებთან. ამასთანავე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით, ასევე შრომის ბაზრის კვლევით დასტურდება, რომ საჯარო სექტორში დასაქმების ნაკლები შესაძლებლობაა და უმეტესად ამ პროგრამის კურსდამთავრებულები ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციები საქმდებიან. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით თანამშრომლების კარგი გამოცდილება არსებობს პროგრამასა და „საქართველოს რეფორმების ასოციაცია – GRASS“-თან, სასურველია ამ პრაქტიკის განვრცობა სხვა ორგანიზაციების შემთხვევაში.

ამასთანავე, როგორც ინტერვიუებიდან დასტურდება, პრაქტიკის გავლის შემთხვევაში, არ

ფუნქციონირების სტაჟირების შეფასების კომპონენტი. სტაჟირების არსებული მოდელის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მისი გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის და შესაძლებლობების შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები;
- დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

რეკომენდაციები:

- სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით და კრედიტიების მინიჭება;
- უფრო მეტი დარგობრივი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან, პრაქტიკის განსახორციელებლად, სტაჟირების/პრაქტიკის შესაძლებლბოის გაზრდის მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული და ვერბალური უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;

-ისეთ უნარების გაძლიერება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და ვერბალური უნარები;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); წიგნსა და წყაროზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი (მულტიმედიური საშუალებებით); ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის შესწავლა (case study); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.
აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურს. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდი ებმის სასწავლო კურსის შინაარს და, ამდენად, პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს. კონკრეტული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს, სწავლების შინაარსსა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1);
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ში ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და თსუ-ს შიდა რეგულაციებთან. სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning.tsu.ge ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად გაეცნოს შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლათფორმა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებუ-

ლობას მიღწეული შედეგების შესახებ. როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა სტუდენტებს დეტალურად მიწოდებათ უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სასწავლო პლათფორმების შესახებ ინფორმაცია და მათი გამოყენების ინსტრუქცია. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერითი სამუშაოებს, პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და ესეების მომზადებას. ასევე მოიცავს ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც შუალედური, ისე ფინალური შეფასების გზით. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები შუალედურ და ფინალურ გამოცდებს აბარებენ უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში და მათი ნაშრომების შეფასება ხორციელდება კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით. ამასთანავე, როგორც ონლაინ - ვიზიტისას გამოიკვეთა, სტუდენტები კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. გასაჩივრების შემთხვევაში თსუ-ს მხრიდან ხორციელდება სტუდენტის კოკნრეტული აქტივობის ხელახალი შეფასება.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასევე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება 100 ქულით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი ენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი სახით: რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულას შეადგენს, კომისიის შეფასება - 60 ქულა, 30 ქულიანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარით. როგორც ონლაინ-ვიზიტისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც, რაც ასევე ნათლად იყო ასახული წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში.

ვიზიტის განმავლობაში, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გაუმჯობესონ სწავლის შედეგები. აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარული კონსულტაციების მეშვეობით აცნობს აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. მოცემული მიმართულებით, ასევე პერიოდულად ტარდება როგორც ვიდეო-ტერინინგები, ასევე ინდივიდუალური შეხვედრებიც, რომლის მეშვეობითაც ხდება

შეფასების სისტემის გაცნობა შემფასებლებისათვის. გარდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურისა, ასევე ფაკულტეტის ხარისხის სამსახურისა და პროგრამის წარმომადგენლები ატარებენ რეგულარულ კონსულტაციებს აკადემიურ პერსონალთან, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტრო პროგრამის აღწერილობა; პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ელექტრონული სწავლების პლათფორმა “e-learning” (e-learning.tsu.ge); ▪ დადგენილება №100/2019 - სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ; ▪ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ონლაინ - ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები მოცემული პროგრამის ფარგლებში იღებენ ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას ემსახურება ორი სრულშტატიანი ტუტორი ფაკულტეტის მაგისტრატურის განყოფილებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებისათის სწავლის პროცესის შესახებ სრულფასოვანი და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას. მოცემულ პროცესში სტუდენტებს ასევე დახმარებას უწევენ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შექმნილია სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, სადაც სტუდენტს უმოკლეს ვადებში

შეუძლია ნებისმიერი დოკუმენტისა და მომსახურების მიღება. ამასთანავე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც.

როგორც ინტერვიუებმა ცხადყო, სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას კარიერული სამსახურის შესახებ, თუმცა ასევე გამოიკვეთა, რომ მათ უმრავლესობას, არ უსარგებლია ამ სამსახურების სერვისებით. სტუდენტებს, ინფომრაცია თვეში საშუალოდ სამჯერ მიეწოდებათ დასაქმების ან სხვა სახის სიახლეების შესახებ როგორიცაა ტრენინგები/კონფერენციები/გაცვლით პროგრამები. თუმცა, როგორც შრომის ბაზრის კვლევიდან ისე ინტერვიუებიდან დასტურდება რომ უნივერსიტეტი კარიერული სამსახურის და დამსაქმებლის თანამშრომლობა კადრების რეკრუიტირების კუთხით, გავრცელებული პრაქტიკა არ არის. შრომის ბაზრის კვლევიდან იკვეთება რომ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების მხოლოდ 6.7% მიიღო ინფორმაცია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან დასაქმების ადგილის შესახებ. ამასთანავე, შრომის ბაზრის კვლევიდან დასტურდება, დამსაქმებლების მზაობა, უნივერსიტეტებთან და მათ შესაბამის სამსხურებთან თანამშრომლობისთვის, რათა მიიღონ სტუდენტები სტაჟირებასა თუ პრაქტიკებზე, შესაბამისად არსებითია ამ სამსახურის როლის და ფუნქციების გაძლიერება, პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი აქტიური თანამშრომლობა.

რაც შეეხება უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებულ მხარდაჭრას, სტუდენტები აკადემიური პერსონალისგან იღებენ ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი LMS-ი და ოფიცალური სოციალური ქსელები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები ასევე მონაწილეობენ თვითშფასების პროცესში. მოცემული კუთხით, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აკადემიური პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტსაც. სტუდენტები ამასთანავე მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ონლაინ ვიზიტმა გამოკვეთა სტუდენტთა კიდევ უფრო მეტი ჩართულობის აუცილებლობა პროგრამის თვითშეფასების პროცესში. თუმცა, როგორც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, ამ მიმართულებით სამომავლოდ გარკვეული ნაბიჯების გადადგმაა დაგეგმილი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემის (admin.lms.tsu.ge) მეშვეობით სტუდენტი ერთვება უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში. ამასთანავე მოცემულ პორტალზე სტუდენტები რეგისტრირდებიან და ირჩევენ სასწავლო კურსებს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. ასევე, თსუ-ის ვებ გვერდზე განთავსებული „სტუდენტური გზამკვლევის“ მეშვეობით სტუდენტს

საშუალება აქვს მიიღოს ინფორმაცია თსუ-ში მოქმედი ნებისმიერი რეგულაციების შესახებ. გარდა იმისა, რომ მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სასწავლო მასალების შესახებ, მათ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო დეპარტამენტსა და კანცელარიის მეშვეობით დაფინანსების, კვლევითი პროექტებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხაზგასასმელია რომ სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და გრანტების თაობაზე. აქტიური კომუნიკაციის შედეგად პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ საუნივერსიტეტო კონფერენციებში, ჩართულნი იქნენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში. გაცვლით პროგრამებში მოცემული პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობა მოცემული პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ (მაგალითად მოცემული პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ გერმანიის, ესტონეთის, ჩეხეთის, ლიტვისა და ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამებში ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში). მოცემული კუთხით აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე შექმნილია კრედიტების აღიარების კომისია, რომელიც თსუ კრედიტების აღიარების მიზნით ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ ელექტრონული სასწავლო პორტალის ადმინისტრირების სისტემა (admin.lms.tsu.ge) ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კონფერენციები, გრანტები, კვლევითი პროექტები); ○ სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში; ○ 2016-2020 წლების სტუდენტთა საზღვარგარეთ მივლინებების დოკუმენტი; ○ ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაღრმავდეს დამსაქმებლების და კარიერულ ცენტრს შორის არსებული თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. თითოეულ სტუდენტს ფინალური სემესტრის დაწყებამდე მის მიერ შერჩეული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე გამოყოფილ აკადემიური ხელმძღვანელთან მთელი სემესტრის განმავლობაში უტარდება უშუალო სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, რათა სემესტრის ბოლოს დაცვაზე წარდგენილი ნაშრომი შეესაბამებოდეს დადგენილ კრიტერიუმებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პედაგოგი, აქედან 6 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი; 13 - მოწვეული პედაგოგი მათ შორის 1 უცხოელი. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2021 წლის მონაცემებით შეადგენს 40-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამას მდგრადობის პრობლემას არ ქმნის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან - პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას ისე, რომ ამ მიმართულებით პროგრამამ მიაღწიოს სრულყოფილ შედეგს. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა, სტუდენტების ადგილების რაოდენობა, სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა, მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტების პრაქტიკა. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალი - უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი - სასურველია შეადგენდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის 2/3-ს, რასაც სრულად პასუხობს პროგრამაზე არსებული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა. უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, ამავე დოკუმენტშია აღწერილი კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ასევე, უსდ-ში მოქმედებს დადგენილება „საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მხიედვითაც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევას მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოკვლევით მიღებული მონაცემების საფუძველზე ახორციელებენ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის/მიმართულების/ ინსტიტუტის/კათედრის/ცენტრის ხელმძღვანელი მოსაწვევი პირის (კანდიდატის) ავტობიოგრაფიის, კვალიფიკაციისა და შესაბამისი შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მონაცემების

შესწავლის საფუძველზე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან, ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური პერსონალის დატვირთვა შემუშავებულია შიდა რეგულაციით და როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისა და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების საშუალებას იძლევა. ინტერვიუებიდან ასევე ირკვევა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირებაში. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები; ▪ უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვის წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ.

პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორისა, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები და სემინარები (მათ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ა) სასწავლო კომპონენტი; ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ფაკულტეტის მიერ მომზადებულ ონლაინ სასწავლო პლატფორმების (LMS, ZOOM, Moodle) ოპერირებისა და მართვის ტექსტურ და ვიდეო-ტუტორიალთა სერიას, რაც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვას და დროულ, ეფექტურ განხორციელებაში. ამასთან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს სახელმძღვანელოების კონკურსი, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებისთვის სახელმძღვანელოს შექმნას. აღნიშნული საგრანტო პროექტი საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტად მიღწევადი გახადოს და სასწავლო კურსის შინაარსი უფრო ხელმისაწვდომი და სასწავლო კურსის მიზნებთან შესაბამისი იყოს.

უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს, ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა), რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება გამოირჩევა საერთაშორისო თანამშრომლობით. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროექტების/პარტნიორების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ). საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები ▪ თსუ ინტერნაციონალიზაციის სრტრატეგია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია e-learning.tsu.ge-ზე. ამდენად, სასწავლო მასალა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია; თავის მხრივ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს კომპიუტერული რესურს-ცენტრი (მეოთხე და მეექსვე კორპუსებში), მეოთხე კორპუსში საფაკულტეტო წიგნთა საცავი. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებთან ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. რესურსს იცავს, როგორც თსუ-ის დაცვა, ისე ე.წ. ტექნიკური დაცვის სისტემები (ვიდეოთვალი, საჭიროების შემთხვევაში; სიგნალიზაცია; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა), რაც უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. აღნიშნული, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ საშუალება მრავალმხრივი და სფეროს უახლეს ცოდნაზე დაფუძნებულ მიღწევებს გაეცნონ, არამედ ამით ხელი ეწყობა ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც, რაც თანამედროვე მეცნიერებისთვის შეუქცევადი პროცესია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა - https://tsu.ge/ka/library/page/894 ;

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://e-learning.tsu.ge/);
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა (https://lms.tsu.ge/);
- ელექტრონული კატალოგი/საბიბლიოთეკო ფონდი (https://www.tsu.ge/ka/library);
- მულტიმედია ცენტრი (http://multimedia.tsu.edu.ge/).
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია.

სააკრედიტაციო პაკეტი მოიცავს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიუჯეტებს. ასევე, დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის 2020 წელს დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომელიც შედგენილია 40 სტუდენტზე გათვალისწინებული შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით და მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ასევე, სამეცნიერო და კვლევით ხარჯებს.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურადაა გაწერილი: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები; წიგნების ფონდისა და მისი განახლების, გამომცემლობითი, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები და სხვ.

დოკუმენტაციაზე და ინტერვიუებზე დაყრდნობით თვალსაჩინოა, რომ პროგრამა არის მზარდი, მდგრადი და უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის საბჭოს ოქმი 8 – (2020) და ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი - 2020;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა ადგენს ერთიან მიდგომებს დახედვებს ხარისხის უზრუნველყოფის სასაკითხებისადმი, ამავდროულად გულისხმობს ფუნქციების და უფლება-მოვალეობების განაწილებას უნივერსიტეტის (ცენტრალური ოფისის) და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის, რაც თითოეულ ფაკულტეტს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს საერთო საუნივერსიტეტო მიდგომების იმპლემენტაცია საკუთარი საჭიეორბებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალური ოფისი შეიმუშავებს სარეკომენდაციო/სახელმძღვანელო დოკუმენტებს/ინსტრუქციებს/სხვ. და კოორდინაციას უწევს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობას).

საერთო საუნივერსიტეტი მიდგომები პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და გან-

ვითარების საკითხებისადმი ასახულია უნივერსიტეტში მოქმედ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, რომელიც ადგენს მოთხოვნებს პროგრამებისადმი და განსაზღვრავს პროგრამების როგორც დაგეგმვა-შემუშავების, ისე განხორციელებისა და შეფასების პროცესურებს. მითითებული დოკუმენტის თანახმად, „პროგრამის შეფასება რეგულარური პროცესია და პროგრამის კომიტეტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის (მათ შორის, საუნივერსიტეტო სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების), დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა და პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების, ასევე, პროგრამის რესურსების (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) შესახებ ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე“.

პროგრამის შეფასების, მათ შორის თვითშეფასების პროცესში, ზემოთ მითითებული დოკუმენტის გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას (შეფასების პროცედურები რეგლამენტირებულია, განსაზღვრულია შეფასების პროცესში მონაწილეთა ფუნქციები, შეფასების პროცესში გამოიყენება წინასწარ შემუშავებული ფორმები და ა.შ.) და კომპლექსურობას (შესწავლას ექვემდებარება პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხოციელება, რესურსებით უზრუნველყოფა, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები და ა.შ.) მოსაზრებები, უცხოეთის უსდ-ების პროგრამების შესწავლა, აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში პროგრამის შეფასება). უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და შეფასების მხარდაჭერას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტი (პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები; სტუდენტ(ებ)ი, კურსდამთავრებულ(ებ)ი, თსუ-ს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და სხვ.)

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის მიზნით წარდგენილი პროგრამის შეფასება (თვითშეფასება) განახორციელა სამუშაო ჯგუფმა (პროგრამის ხელმძვანელი და განმახორციელებელთა გუნდი, ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვ.). ასევე, თვითშეფასების პროცესში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებული, ასევე პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლები. თვითშეფასების პროცესის საკვანძო მიმართულება იყო პროგრამის შინაარსი და მისი განვითარება. პროგრამის ხელმძღვანელისა და თვითშეფასების ჯგუფის წევრთა განმარტებით, ამ მიზნით იყო შესწავლილი და გათვალისწინებული დამსაქმებლების მოსაზრებები, შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები და უცხოეთის უსდ-ების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის შეფასების და შესაბამისი რეკომენდაციის გამოგზავნის თხოვნით მიმართა დუბლინის (ირლან-

დია) უნივერსიტეტის და თრინითი კოლეჯის წარმომადგენლებს, ასევე პროგრამის შინაარსის და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება ეთხოვათ პოტენციურ დამსაქმებლებს, რის შედეგად მიღებულია შეფასებები და მხარდაჭერის წერილები. ასევე, ინტერვიუს დროს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე დეტალურად ისაუბრეს პროგრამის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა, რომებმაც დააკონკრეტეს და დაასაბუთეს უშუალოდ მათ სასწავლო კურსებში გაზიარებულ ასპექტებზე. გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ შეფასებაში ჩართული პირები ფლობენ ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მიდგომების, მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ, ინტერვიუში მონაწილე პირებმა ისაუბრეს შესრულებულ სამუშაოზე და თავიანთ ფუნქციებზე. ასევე, თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, ასევე ექსპერტებთან შეხვედრებში მონაწილე პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნეს შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა და ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიღებულ მხარდაჭერაზე, კომპეტენტურ და დროულ კონსულტაციებზე და სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, არსებობს საერთო საუნივერსიტეტო მიდგომა, რომლის თანახმად სისტემატურად მიმდინარეობს პროგრამების განმახორციელებელთა საჭიროებების და მოსაზრებების შესწავლა. კითხვადების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის და უშუალოდ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინიციატივების განხილვის საფუძველზე, დგინდება მათთვის საინტერესო თემატიკა, იგეგმება და ტარდება შესაბამისი ტრეინინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ და დანართები; ▪ „ხარისხის შიდა უზრუნველყოფა“; ▪ „ხარისხიის უზრუნველყოფის სამსახურის წლიურ ანგარიშები“ (2018, 2019, 2020); ▪ „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები“; ▪ „სილაბუსის შეფასების ფორმა და ინდიკატორები“; ▪ შემუშავებული შეფასების ფორმები, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანკეტები და ჩატარებული კვლევების ანალიზის დოკუმენტები; ▪ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომებისა და ხედვების არსებობას, ისე ფაკულტეტების უფლებას მოახდინოს მათი იმპლემენტაცია საკუთარი საჭიეორბებისა და პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილია გარე შეფასება, რომლის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით: მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ პროგრამის გარე შეფასებად მიიჩნევს აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების შედეგებს.

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში პროგრამის ბოლო შეფასება განხორციელდა 2012 წელს - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (#264, 26.07.2012) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. სხდომის ოქმის (#8, 26.07.2012) თანახმად, გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია („სასურველია ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსებთან გარე წვდომის უზრუნველყოფა“), რომელიც შესრულებულია.
პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად გამოყენებულია უცხოეთის უსდ-ების წარმო-

მადგენლების მიერ პროგრამის შეფასება: პროგრამის შეფასების და შესაბამისი რეკომენდაციის გამოგზავნის თხოვნით მიმართა დუბლინის (ირლანდია) უნივერსიტეტის და თრინითი კოლეჯის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა და დადებითად შეაფასეს პროგრამა. ასევე პროგრამის შინაარსის და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება ეთხოვათ პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებმაც ინტერვიუს დროს დაადასტურეს პროგრამის აქტუალობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“; 2. პროგრამის გარე შეფასება უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლების მიერ (თვითშეფასების ანგარიშის დანართები: Support letter for TSU BA and MA programme; Trinity College Dublin - მხარდაჭერა); 3. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს არეგულირებს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, რომლის თანახმად (იხ. მ.3.) პროგრამის შეფასება - რეგურალური პროცესია. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმები, მათ რიცხვს მიეკუთვნაბა: პროგრამის წინასწარი შეფასება, განხორციელების შეფასების და განვითარების პროცესის ადმინისტრირება, ინფორმაციის შეგროვება-სისტემატიზაცია და ანალიზი.

პროგრამის შეფასება - სისტემატური და დაგეგმილი პროცესია, რომლის ყველა ეტაპი არის წინასწარ განსაზღვრული. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით ფაკულტეტზე შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების კომიტეტი. შეფასების პროცესში ხორციელდება აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება, სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვება, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და სხვ. უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეგროვილ ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე პროგრამას აფასებს პროგრამის კომიტეტი. მეტი სიცხადისთვის ვიზიტის მსვლელობისას ფაკულტეტის წარმომადგენლებს ეთხოვათ ნიმუშად წარმოადგინათ აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთი შიდა შეფასების ამსახველი დოკუმენტი. ექსპერტებს მიეწოდათ ორი დოკუმენტი (2017, 2021). 2021 წლის დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი მომზადებულია ზემოთ მითითებული დებულების შესაბამისად (დანართი #16 - „საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში“) და მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას პროგრამის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტებით და ჩატარებული გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამების განვითარებაზე მუშაობა მიმდინარეობდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიური ჩართულობით. პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის განმარტებით, პროგრამის მოდიფიცირების პროცესში მათ მიერ შესწავლილ იქნა უცხოეთის უსდ-ების როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, ისე კონკრეტული კურსები, რაც შემდგომ იყო გათვალისწინებული პროგრამის/კურსის მიზნებისათვის. მეტი სიცხადისთვის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით ითხოვა უცხოეთის პროგრამებთან დადარების შედეგების ამსახველი დოკუმენტის წარდგენა. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროგრამა აგებულია საუკეთესო ამერიკული და ბრიტანული პროგრამების გამოცდილებებზე დაყრდნობით, ირლანდიელი, ბრიტანელი და ამერიკელი პროფესორების რეკომენდაციებისა და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. დოკუმენტი მიცავს შედარების (მსგავსების და განსხვავების) ანალიზს და

პროგრამის განსხვავებულობის დასაბუთებას („განსხვავდება ძირითადი ჩარჩოს მიღმა აქცენტები, რაც გამოწვეულია ქვეყნებისა და რეგიონების წინაშე არსებული გამოწვევებით“). უნივერსიტეტის ხარისხის იზრინველყოფის სამსახურის წარმომადგენლით, უცხოეთის პროგრამებთან დადარება - ცენტრალური ოფისის რეკომენდაციია, რომლის იმპლემენტაციას უზრუნველყოფენ ფაკულტეტებზე პროგრამების გუნდები.

პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს სხვადასხვა ფორმების მეშვეობით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების/დამოკიდებულებების შესწავლა. სტუდენტების მოსაზრებების შესწავლა ხორციელდება ყოველსემესტრულად გამოკითხვის მეშვეობით, რაც დასტურდება როგორც შესაბამისი ანალიზის დოკუმენტებით, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით.

პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა და მათ მიერ პროგრამის შეფასება, რაზეც მეტყველებს უნივერსიტეტის ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებით. დამსაქმებლებთან ინტერვიუთ ირკვევა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომობენ პროგრამის გუნდთან და იცნობენ პროგრამას. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით (მაგალითად, ეკომომიკური ბლოკის სწავლების, წერითი უნარების და ინგლისური ენის გაძლიერება, გლობალური ჯანდაცვის და ბიზნეს ქცევის საკითხების შესწავლა და სხვ.). დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად, მათი მოსაზრებები იყო გათვალისწინებული პროგრამაში, გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდება მომავალში, რადგან პროგრამის განვითარება - მუდმივი პროცესია. დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს და მისი ძლიერი მხარეები, პროგრამა, ისაუბრეს პროგრამის ძლიერ მხარეებზე, გამოთქვეს მომავალში თანამშრომლობის მზაობა და ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გარდა უკვე დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი მექანიზმებისა, უნივესიტეტში ინერგება ახალი მექანიზმი - აკრედიტაციის პროცესის სიმულაცია, რომელიც მოიაზრებს ექსპერტთა ჯგუფის შექმნას (სხვადასხვა ფაკულტეტების წარმმადგენლები, სტუდენტები), პროგრამის შეფასებას აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ჭრილში, სრულფასოვანი იმიტირებული ვიზიტის განხორციელებას, დასკვნის მომზადებას და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, რამდენიმე პროგრამის შემთხვევაში (მაგ., მედიცინა, საერთაშორისო სამართალი) შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ სისტემატურად მიმდინარეობს მუშაობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არულყოფაზე და ახალი მექანიზმების ამოქმედებაზე, მაგალითად, მიმდინარეობს მუშაობა ისეთ სიახლეზე, როგორიცაა მუდმივმოქმედი სტუდენტთა ჯგუფის შექმნა, რომლის წევრები იქნებიან პროგრამის ფასილიტატორები. ჯგუფი ითანამშრომლებს პროგრამის განვითარების კომიტეტთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, ამ მექანიზმის ამოქმე-

დებით შესაძლებელი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები იყოს გაზიარებული რაც შეიძლება მეტი სტუდენტების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ▪ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ და მისი დანართები; ▪ ფაკულტეტის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების კომიტეტის სხდომის ოქმები; ▪ პროგრამის სხვადასხვა ასპექტის შეფასების მიზნით შემუშავებული შეფასების ფორმები, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტები; ▪ პროგრამის შეფადების ამსახველი დოკუმენტები (2017/2021; დამატებით წარმოდგენილი); ▪ სხვა პროგრამებთან შეფადების ანალიზის დოკუმენტი (დამატებით წარმოდგენილი); ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს პროგრამების თანხვედრას/განსხვავებას და დადარების შედეგებს, რაც შექმნის პროგრამაში ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებების შესწავლის შესაძლებლობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად აკრედიტაციის პროცესის სიმულაციის დანერგვა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით გეგეჭკორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი გორგილაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ხვიჩა ბერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა სალომე ალანია

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვინიაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი